დამტკიცებულია

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის
2024 წლის 29 აპრილის N 46 „ო“ ბრძანებით

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა

1. წინამდებარე გეგმა გამოიყენება სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს ობიექტზე საგანგებო სიტუაციების წარმოქმნის დროს.

2. ყველა დასაქმებული ვალდებულია იცნობდეს საგანგებო სიტუაციებში მოქცევის წესებს და მის გაცნობას აფიქსირებდეს ხელმოწერით.

3. საგანგებო სიტუაციების ინსტრუქტაჟი განმეორებით უნდა ჩატარდეს ყოველ 6 თვეში.

4. ტექნოგენური ავარიები – წარმოადგენენ არაპგროგნოზირებად უკონტროლო მოვლენებს, რომლებსაც თან სდევს აფეთქები, ხანძრები და მავნე ნივთიერებების ამოფრქვევები. ტექნოგენურ ავარიებს დამახასიათებელი ნიშნებია:

   ა) აფეთქებები, კვამლი, ცეცხლი, მკვეთრი სუნი, „ფერადი“ ნალექები, ცხოველების უეცარი მასიური დახოცვა, მომენტალურად გამხმარი ფოთლები და ა.შ.

   ბ) დამახასიათებელი სიმპტომების სწრაფი გამოვლენა (გულისრევა, გაძნელებული სუნთქვა, ლორწოვანი გარსის და კანის შესიება და გამონაყარი)

5. საგანგებო სიტუქციებზე რეაგირების თანდართული გეგმა (დანართი N1), სცენარების მიხედვით, მოიცავს რეაგირების ღონისძიებებს და განსაზღვრულია შესაბამისი პასუხისმგებელი პირები.

6. დანართი N2-ით განსაზღრულია საგანგებო სიტუაციების ინსტრუქტაჟი.

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა

სცენარი	რეაგირება	პასუხისმგებელი პირები	ტელეფონი
ხანძარი, აფეთქება	1. სამუშაო უბანზე ყველა საქმიანობის შეჩერება. 2. მცირე ზომის ცეცხლს ვებრძვით პორტატული ცეცხლმაქრით, თუ გვაქვს ცეცხლთან ბრძოლი ტრენინგი. 3. გააქტიურეთ ადგილობრივი საყვირები, დაიყვირეთ ,,ხანძარი, ხანძარი'' 4. გაემართეთ უსაფრთხო გზებით თავშეყრის ადგილისკენ, არ ირბინოთ და არ მიეცეთ პანიკას. ყურადღება მიაქციეთ სავალ გზას და გზადაგზა ატყობინეთ ადამიანებს ხანძრის შესახებ. 5. ყველა ელექტროხელსაწყოს გამორთვა. 6. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის და ხელმძღვანელობის ინფორმირება. 7. სიტუაციის შეფასება და ქმედების განსაზღვრა. 8. სახანძრო სამსახურის და სამედიცინო დახმარების გამოძახება. 9. შიდა პერსონალის ქმედებების გაკონტროლება და ხელმძღვანელობა. 10. სახანძრო რაზმის ქმედებების ხელშეწყობა. 11. დაზიანებული ადამიანებისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა. (თუ პირველადი დახმარების კურსი გაქვთ გავლილი)	• ელექტროობაზეპასუხისმგენბელი • შრომის უსაფრთხოების მენეჯერი • ობიექტის მენეჯერი	
მძიმე დაზიანების შემთხვევაში	1. ინციდენტის შესახებ სასწრაფო დახმარების ინფორმირება. 2. სიტუაციის შეფასება და დადგენა ქმნის თუ არა საფრთხეს დაშავებულთან მიახლოვება. 3. სამაშველო ჯგუფის გამოჩენამდე პირველადი დახმარების ჩატარება. (კომპეტენტური პირების მიერ)	• შრომის უსაფრთხოების მენეჯერი • ობიექტის საქმისმწარმოებელი	

	4. მოხდეს სისხლდენის შეჩერება სასრაფო დახმარების მოსვლამდე (დოლბანდებით, ლოკალური პრესით, ხელის მიჭერით) 5. ამპუტაციის შემთხვევაში, ამპუტირებული ნაწილის მოძებნა და სამედიცინო პერსონალს გადაცემა (თუ მასთან მიახლოვება არის უსაფრთხო)		
ბუნებრივი მოვლენები (წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა.)	1. საშიშროების შემთხვევაში სასწრაფოდ განახორციელეთ ევაკუაცია საშიში ზონიდან. 2. ელექტრო ენერგიის გათიშვა 3. საშიშროების ნიშნების გაჩენისას სასწრაფოდ გადაადგილდით შემაღლებული ადგილისკენ. 4. საშიშია დარჩენა შენობაში, თუ მდებარეობს ჩამოქცეული ნაპირის ახლოს, ან მის ქვეშ გრუნტი ნაწილობრივ გარეცხილია. 5. მოხდეს პერსონალის გამოყვანა საშიში ზონებიდან. 6. მოხდეს ადვილად აალებადი და ფეთქებადი ნივთიერებების გატანა საშიში ზონებიდან. 7. სამაშველო და სალიკვიდაციო სამუშაოების შესრულებისას აუცილებელია ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება.	• ელექტროობაზეპასუხისმგებელი • უსაფრთხოების მენეჯერი • ობიექტის მენეჯერი	
ელექტროშოკი	1. არ შეიძლება დაზარალებულთან მიახლოვება, სანამ არ გამოირთვება დენი და საჭიროების შემთხვევაში, არ გაკეთდება იზოლირება. შეინარჩუნეთ 18 მეტრის რადიუსის უსაფრთხო დისტანცია. (მაღალი ძაბვის დენით გამოწვეული ელექტროტრავმის შემთხვევაში). 2. ხელმძღვანელობის შეტყობინება	• ელექტროობაზეპასუხისმგებელი • შრომის უსაფრთხოების მენეჯერი • ობიექტის მენეჯერი	
სხვა ინციდენტები	აცნობე დირექტორს და საგანგებო სიტუაციების სამსახურს	საგანგებო სიტუაციების სამსახური	112

დანართი N2

დასაქმებულთა ინსტრუქტაჟი

საგანგებო სიტუაციების წინამდებარე ინსტრუქტაჟი განმეორებით უნდა ჩატარდეს ყოველ 6 თვეში.

დაიცავით შემდეგი წესები:

1. შეინარჩუნეთ სიმშვიდე და შეეცადეთ დაიცვათ თავი;

2. მხოლოდ მას შემდეგ რაც თქვენ სათანადოდ იქნებით დაცული, დაეხმარეთ სხვებს, მხოლოდ იმ პირობით თუ იცით როგორ გააკეთოთ ეს;

3. დატოვეთ ავარიის ადგილი რაც შეიძლება მალე;

4. არ გადაადგილდეთ იმ ზონებით სადაც არის საშიში ქიმიური ნივთიერებები და არ შეეხოთ მათ;

5. არ მოწიოთ;

6. შეეცადეთ, რაც შეიძლება გულდასმით დაიფაროთ თქვენი სხეული, თუ გაჟონვაა დაიცავით სასუნთქი გზები მტვრისგან და საშიში აირებისგან, მიიფარეთ პირზე და ცხვირზე პირსახოცი ან რაიმე ნაჭერი, ნელა ისუნთქეთ

7. სუნთქვის ორგანოების დასაცავად გამოიყენეთ რესპირატორები, პირბადეები, ქსოვილისგან დამზადებული მტვრის საწინააღმდეგო ნიღბები და სამოქალაქო აირწინაღები;

8. შეგიძლიათ არ გამოიყენოთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები ადმინისტრაციულ შენობებში ყოფნისას, წვიმის შემდეგ ან უქარო ამინდში;

9. კანის დასაცავად გამოიყენეთ სქელი ქსოვილისგან და პოლიეთილენისგან დამზადებული ლაბადები, კომბინიზონები, რეზინის ფეხსაცმელი, ხელთათმანები ან სპეციალური დამცავი ტანისამოსი;

მხუთავი აირით მოწამვლისას:

10. გამოიყვანეთ ადამიანი სუფთა ჰაერზე;

11. მოასულიერეთ ნიშადურით;

12. ფილტვებში ჰაერის თავისუფლად მიწოდების უზრუნველსაყოფად შეუხსენით ტანისამოსი;

13. თუ დაზარალებული გრძნობაზეა დაალევინეთ დიდი რაოდენობით სითხე (ჩაი, წყალი);

14. სუნთქვის არქონის შემთხვევაში დაზარალებულს ჩაუტარეთ ხელოვნური სუნთქვა და გულის არაპირდაპირი მასაჟი; (კომპეტენტური პირის მიერ)

15. გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება

უშუალოდ საგანგებო სიტუაციის დროს:

16. აიღეთ აუცილებელი ნივთები და რაც შეიძლება ორგანიზებულად დატოვეთ ტერიტორია;

17. მზად იყავით დახმარების აღმოსაჩენად, იმოქმედეთ ერთობლივად სამაშველო ჯგუფებთან ერთად;

18. იმოქმედეთ სიტუაციიდან გამომდინარე და ყურადყება მიაქციეთ შეტყობინებებს

19. ავარიული სიტუაციის წარმოქმნისას ვალდებული ხართ შეწყვიტოთ მუშაობა, სასწრაფოდ შეატყობინოთ უშუალო ხელმძღვანელს მომხდარის შესახებ და შემდეგ, შექმნილი ავარიული სიტუაციის აღმოსაფხვრელად, იმოქმედოთ მათი მითითებების შესაბამისად.
20. ხანძრის შემთხვევაში, საწვავი მასალების აალების შემთხვევაში პრიორიტეტი უნდა იყოს სახანძრო დაცვის გამოძახება და თანამშრომელთა ევაკუაცია, ხანძრის შედეგად გამოყოფილი, ადამიანის ორგანიზმზე მომქმედი, მავნე ფაქტორების მოქმედების ზონიდან (შენობის ან ნგებობის გარეთ, სადაც მოხდა ხანძარი).
ამის შემდეგ აუცილებელია:
21. საამქროში (შენობაში) სადაც გაჩნდა ხანძარი გამოირთოს ელექტრომოწყობილობა, ელექტრო ხელსაწყოები (აპარატურა, სტენდები), ელექტრო პნევმატური იარაღი და საამქროს ელექტრული კვების წყარო;
22. გამოირთოს ვენტილაციის სისტემა;
23. დაუყოვნებლივ აცნობოს ხანძრის შესახებ სამუშაოთა ხელმძღვანელს, ხანძრის კერის ზუსტი მითითებით;
24. სასწრაფოდ მოახდინოს საწვავ-საცხები და ცეცხლსაშიში, ფეთქებადი მასალიანი ჭურჭლის გატანა ხანძრის კერის გარეთ;
25. შუდგეს ხანძრის ჩაქრობას ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებების გამოყენებით.
26. ხანძრის შედეგად უშუალოდ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საზიანო მავნე ფაქტორების (ღია ცეცხლის კერა, გარემოს მაღალი ტემპერატურა, ტოქსიკური პროდუქტების წვა და თერმული შლა, კვამლი, ჟანგბადის დაბალი კონცეტრაცია და სხვა) გამოყოფის შემთხვევაში ან აფეთქების საშიშროების შემთხვევაში სასწრაფოდ უნდა დატოვოთ ამ საშიში ფაქტორების მოქმედების ზონა.

27. ელექტრო მოწყობილობების აალების შემთხვევაში ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ ნახშირჟანგოვანი ან ფხვნილოვანი ცეცხლმაქრები. ამავდროულად არ შეიძლება ნახშირჟანგოვანი და ფხვნილოვანი საშუალებების ნაკადის ხალხისაკენ მიშვერა. ნახშირჟანგოვანი ცეცხლმაქრის გამოყენებისას, გაყინვისაგან ხელების დასაცავად, არ უნდა შეეხონ ცეცხლმაქრის მიმმართველ მილაკს.

28. ცეცხლმოდებული მოწყობილობების ჩასაქრობად, რომლებიც საკონტაქტო ხაზიდან დაცილებული არიან 2 მეტრზე ნაკლებ მანძილზე, გამოიყენება მხოლოდ ნახშირჟანგოვანი ან ფხვნილოვანი ცეცხლმაქრები.
29. ხანძრის კერის ჩაქრობა წყლით, ქაფიანი ან ჰაეროვან-ქაფიანი ცეცხლმაქრებით ნებადართულია მხოლოდ მას შემდეგ, პასუხისმგებელი პირის მიერ იქნება შეტყობინებული რომ საკონტაქტო ხაზი გამორთუილი და დამიწებულია.
30. ქაფის მოხვედრისას სხეულის დაუცველ ნაწილზე საჭიროა იმ ადგილის ხელსახოცით მოწმენდა და სოდიანი წყლის ხსნარით დაბანა.

31. თუ ხანძრის კერა საკონტაქტო ხაზიდან დაცილებულია 7 მეტრზე მეტად, ხანძრის ჩაქრობა ნებადართულია ხაზიდან ძაბვის მოუხსნელად. ამავდროულად ყურადღება უნდა მიექცეს, რომ წყლის ან ქაფის ნაკადი არ მოხვდეს საკონტაქტო ხაზს და ძაბვის ქვეშ მყოფ საკონტაქტო ხაზზე ჩამოკიდებულ სხვა ნაწილებს.

32. ხანძრის ქრობის დროს აკრძალულია გაწყვეტილ და მიწაზე დაგდებულ საკონტაქტო ხაზის გამტარებთან, რომლებიც არ არის გამორთული და დამიწებული, მიახლოება 8 მეტრზე ახლოს.

33. შენობებში, სადაც არის შიდა სახანძრო ონკანები, ხანძრის ჩაქრობას უნდა ახდენდეს ორი პირი: პირველი შლის სახანძრო შლანგს ხანძრის კერემდე, მეორე კი განკარგულების მოღებისას აღებს ონკანს.

34. ხანძრის კერის მჭიდრო ქსოვილით ჩაქრობისას ალი ისე უნდა დაიფაროს, რომ არ მოხვდეს ადამიანს.

35. სილით ხანძრის ჩაქრობისას ნიჩაბი არ უნდა აიწიოს თვალის სიმაღლეზე, რათა სილა არ შეეყაროს თვალებში.

36. ტანსაცმელზე ცეცხლის მოდებისას, რაც შეიძლება მალე უნდა ჩააქრონ ცეცხლი, მაგრამ არა დაუცავი ხელებით. ცეცხლმოდებული ტანსაცმელი უნდა გახადონ, შემოახიონ ან სასწრაფოდ ჩააქრონ. ცეცხლმოდებულ ტანსაცმლიან ადამიანს შეიძლება შემოახვიონ ცეცხლის ჩასაქრობად, მჭიდრო ნაჭერი ან ბრეზენტი, რომელიც ჩაქრობის შემდეგ უნდა შემოეხსნას, რათა არ მოხდეს ადამიანის სხეულის სითბური დათრგუნვა. არ შეიძლება თავის გახვევა, რათა არ მოხდეს სასუნთქი ორგანოების დაზიანება და მოწამვლა, წვის დროს გამოყოფილი ტოქსიკური აირებით.

37. თუ მოხდა რაიმე უბედური შემთხვევა აუცილებელია დაზარალებული სასწრაფოდ იქნეს გათავისუფლებული ტრამვის მიმყენებელი ფაქტორისაგან, აღმოჩენილი იქნეს პირველადი სამედიცინო დახმარება და უბედური შემთხვევის შესახებ შეტყობინებული იქნეს ხელმძღვანელი პირი.